URBAN NOVEL: FOR THE POETICS OF THE GENRE [1]

ქალაქური რომანი: ჟანრის პოეტიკისათვის [2]

Nino Tsurtsumia
PhD Student, Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Tamar Mepe st. #59, 4600, Georgia,
+995 579 17 71 84, nino.tsurtsumia@atsu.edu.ge,
https://orcid.org/0009-0001-1296-8794

Abstract. Social, political, and economic processes directly impact urban space, influencing its imagery and idiomatic expressions, which are subsequently reflected in the city's imagined image. In the analysis of the genre poetics of the urban novel, a decisive role is assigned to how the city functions within the narrative and its role in the artistic structure. The urban novel, as a rule, considers the city as an organic whole and develops a coherent vision of it. It is not interested only in local colourful details or anecdotal urban stories and incidents. It creates a unified impression and uses individual cases to convey the basic principles of city life. It offers an interpretation of the city as an ordered model of existence based on certain principles. This interpretation permeates the entire formal structure of the urban novel, while the description of individual urban experiences is episodic in nature.

The aim of this study is to determine the specificity of the urban novel, its genre, and poetics. The author of an urban novel, as a rule, offers us his or her own or the narrator/character's personal/subjective urban experiences and impressions and not solutions to problems. An urban novel is an organic whole, where material and form coalesce to create an aesthetic unity. Elements of the work's form, such as style, plot, tone, theme, and structure, express the writer's attitude towards the city as a physical place, as an atmosphere, and as a way of life. The urban novel is a complex entity, and therefore, its analysis requires a complex approach. A historical overview of the city as an intellectual-cultural reality and a diachronic analysis of the forms of artistic representation of urban experience helps us to outline the genre contours of the urban novel.

Keywords: Urban Experience; Novel; Representation; Genre; Interdisciplinary.

[1] This research [PHDF-24-060] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)“.

[2] კვლევა [PHDF-24-060] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

ნინო წურწუმია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59, 4600, საქართველო,
+995 579 17 71 84, nino.tsurtsumia@atsu.edu.ge,
https://orcid.org/0009-0001-1296-8794

აბსტრაქტი. სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები პირდაპირ აისახება ურბანულ სივრცეზე, რაც, თავის მხრივ, ქალაქის წარმოსახვით ხატში აირეკლება. ქალაქური რომანის ჟანრული პოეტიკის ანალიზისას გადამწყვეტი როლი ენიჭება, თუ როგორ ფუნქციონირებს ქალაქი თხრობაში და რა როლს ასრულებს იგი მხატვრულ სტრუქტურაში. ქალაქური რომანი, როგორც წესი, ქალაქს ორგანულ მთლიანობად განიხილავს და მის მწყობრ, თანმიმდევრულ, ტოტალურ ხედვას აყალიბებს. მას არ აინტერესებს მხოლოდ ადგილობრივი კოლორიტული დეტალები თუ ანეკდოტური ხასიათის ქალაქური ამბები და ინციდენტები. იგი ქმნის უნიფიცირებულ შთაბეჭდილებას, კერძო შემთხვევებს კი ქალაქის ცხოვრების ძირეული პრინციპების გადმოსაცემად იყენებს. იგი გვთავაზობს ქალაქის, როგორც გარკვეულ პრინციპებზე დაფუძნებული ყოფიერების მოწესრიგებული მოდელის, ინტერპრეტაციას. ეს ინტერპრეტაცია ქალაქური რომანის მთელ ფორმალურ სტრუქტურას გამსჭვალავს, ცალკეული ურბანული გამოცდილების აღწერა კი ეპიზოდურ ხასიათს ატარებს.
წინამდებარე კვლევის მიზანია ქალაქური რომანის, როგორ ჟანრის, პოეტიკის სპეციფიკის დადგენა. ქალაქური რომანის ავტორი, როგორც წესი, საკუთარ თუ მთხრობლის/პერსონაჟის პერსონალურ/სუბიექტურ ურბანულ გამოცდილებსა და შთაბეჭდილებებს გვთავაზობს და არა - პრობლემების გადაწყვეტას. ქალაქური რომანი ორგანული მთლიანობაა, სადაც მასალა და ფორმა ესთეტიკურ მთლიანობას ქმნის - ნაწარმოების ფორმის ისეთი ელემენტები, როგორიცაა სტილი, სიუჟეტი, ტონი, თემა და თხრობის სტრუქტურა, გამოხატავენ მწერლის დამოკიდებულებას ქალაქის, როგორც ფიზიკური ადგილის, ატმოსფეროსა და ცხოვრების წესისადმი. ქალაქური რომანი კომპლექსური მთლიანობაა და, შესაბამისად, მისი ანალიზიც კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ქალაქის, როგორც ინტელექტუალურ-კულტურული რეალიის, ისტორიული მიმოხილვა ან/და ურბანული გამოცდილების მხატვრული გამოსახვის ფორმების დიაქრონული ანალიზი გვეხმარება მოვხაზოთ ქალაქური რომანის ჟანრული კონტურები.

საკვანძო სიტყვები: ურბანული გამოცდილება; ქალაქური რომანი; რეპრეზენტაცია; ჟანრი; ინტერდისციპლინური.

შესავალი. ქალაქური ლიტერატურის შესახებ არსებული კვლევების უმრავლესობა ურბანისტიკის ინტერდისციპლინურ სფეროს უკავშირდება და ლიტერატურის საზღვრებს სცდება. ეს შრომები უმეტესწილად ორიენტირებულია ან კონკრეტული ნაციონალური ლიტერატურული ქალაქ/ებ/ის ანალიზზე (ცხვედიანი 2015: 40-48; Gelfant 1954 და სხვ.), ქალაქის ფიქციონალიზაციის ისტორიული ფორმების დიაქრონულ შესწავლაზე (Mcnamara 2014; Lehan 1998) ან ამ ფორმების კვლევაზე რომელიმე მხატვრულ-ესთეტიკური პარადიგმის/მხატვრული მიმდინარეობის კონტექსტში (რეალისტური, ნატურალისტური, მოდერნისტული ქალაქი: წერედიანი 2022: 7-37; ცხვედიანი 2020: 81-105; Gelfant 1974: 36-52; Harding 2003; Alter 2005 და სხვ.). მთავარი კითხვაა: როდის სცდება რომანი უბრალოდ იმ ტექსტის სტატუსს, სადაც მოქმედება ქალაქში ხდება და როდის იქცევა იგი სრულფასოვან ქალაქურ რომანად? გავრცელებული თვალსაზრისით, ეს მაშინ ხდება, როდესაც ქალაქი თავად გვევლინება პროტაგონისტად ან ანტაგონისტად[3], თუმცა ეს ახსნა არ არის ბოლომდე დამაჯერებელი, ვინაიდან ქალაქის პერსონაჟად აღქმა უმეტესწილად მეტაფორულია, ხოლო მხოლოდ ერთი კრიტერიუმი ჟანრის სპეციფიკას ვერ ამოწურავს. ქალაქური რომანისთვის აუცილებელია, რომ ქალაქი, სულ მცირე, გასცდეს სიუჟეტური ფონის ფუნქციას და აქტიურად მონაწილეობდეს სიუჟეტის განვითარებაში, პერსონაჟების ბედისა და მოვლენათა ლოგიკის ჩამოყალიბებაში. თუ ქალაქი გადამწყვეტ ზეგავლენას ვერ ახდენს სიუჟეტის, ხასიათების, თემატიკისა თუ ენის მოდელირებაზე, ხოლო რომანში აღწერილი მოვლენები დამოკიდებული არაა სამოქმედო გარემოზე და ყველგან შეიძლება მოხდეს, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ნაწარმოებში მოქმედება ქალაქში ხდება, მას ქალაქურ ტექსტად ვერ აქცევს. ქალაქის აქტიური მონაწილეობა პერსონაჟისა და სიუჟეტის ფორმირებაში ის სპეციფიკური ნიშანია, რომელიც ქალაქურ რომანს „ურბანული ადგილობრივი კოლორიტის პროზისაგან“ (urban local color fiction) განასხვავებს (Gelfant 1954: 5). ამ უკანასკნელში მოქმედება ვითარდება სტატიკური ურბანული გარემოს ფონზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს მოქმედების განვითარებასა თუ პერსონაჟთა საქციელის მოტივირებაში.

მეთოდები. ნაშრომი ქალაქური რომანის ჟანრული პოეტიკის სისტემურ კვლევას გვთავაზობს. კვლევა ორიენტირებულია ხსენებული ჟანრის სპეციფიკის დადგენაზე, მისი განმსაზღვრელი კრიტერიუმების გამოკვეთაზე და ევოლუციის აღწერაზე. სტატია არ შემოიფარგლება მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდებით, არამედ ისტორიის, კულტუროლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ურბანისტიკის და გეოგრაფიის პერსპექტივებსაც მიმართავს. ამ კომპლექსურ მიდგომას საფუძვლად უდევს გააზრება, რომ ქალაქური რომანი თავად არის ინტერდისციპლინური ჟანრი.

მსჯელობა და შედეგები. ურბანულ რომანში ქალაქს საკუთარი იდენტობა და ცხოვრება გააჩნია, რომელიც განსხვავდება მისი მაცხოვრებლების ცხოვრებისაგან. იგი გვევლინება ნიშანთა სისტემად, რომელიც კულტურულ მნიშვნელობებს წარმოქმნის და სოციალურ, იდეოლოგიურ, ფსიქოლოგიურ დინამიკას განსაზღვრავს. ამავდროულად, იგი ტოპოგრაფიული ორგანიზატორიცაა - ნარატივი მოძრაობს არა მხოლოდ

[3] ბლანშ გელფანტს მიაჩნია, რომ ამერიკულ რომანში ქალაქი, როგორც წესი, ანტაგონისტის როლს თამაშობს, რომელიც პერსონაჟს დაბრკოლებებს უქმნის მისი მიზნების განხორციელების გზაზე, თუმცა, რაოდენ ირონიულადაც უნდა ჟღერდეს, შეიძლება ხელსაც უწყობდეს და ეხმარებოდეს მას (Gelfant 1954: 5). ანუ, სხვაგვარად, ქალაქი შეიძლება ერთდროულად პროტაგონისტიც იყოს და ანტაგონისტიც, როგორც, მაგალითად, ჯონ დოს პასოსის რომანში *მანჰეტენ ტრანსფერი* (*Manhattan Transfer*, 1925).

ქრონოლოგიურად, არამედ ურბანული მარშრუტებით, უბნებით, ტოპოგრაფიული წერტილებით, რაც ქალაქს თხრობის ორგანიზების პრინციპად აქცევს.

ქალაქური რომანი თითქმის ყოველთვის შეიცავს სოციალურ იმპლიკაციებს, თუმცა იგი უწინარესად მხატვრული გამოსახვის ფორმაა და არა - პროპაგანდის საშუალება. ამ თვალსაზრისით, ქალაქური რომანი განსხვავდება იმ ტიპის პროზისაგან, სადაც ქალაქი პრობლემატიკის ნაწილია (city problem fiction). ასეთი პროზა, გარკვეულწილად, პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს - იგი წარმოაჩენს გარკვეულ სოციალურ ბოროტებას, რათა ხაზი გაუსვას მისი აღმოფხვრის მიზნით რეფორმების დაუყოვნებლივ გატარების აუცილებლობას. მისი მიზანი რიტორიკულია და იგი მკითხველს აქტიური სოციალური ქმედებებისაკენ მოუწოდებს. ამ ტიპის რომანი ზუსტად წარმოგვიდგენს სოციალურ ფაქტებს და მათ ზეგავლენას საზოგადოებრივ აზრზე. მისი შეფასების მთავარი კრიტერიუმია, რამდენად ნათლად და ზუსტადაა ფაქტები გადმოცემული, რითაც იგი ჟურნალისტიკას უახლოვდება. ამ ტიპის ლიტერატურის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად, ეპტონ სინკლერის *ჯუნგლები* (*The Jungle,* 1905), სადაც ზუსტადაა დახატული ჩიკაგოს სოციალური სურათი.

ქალაქური რომანი, როგორც ჟანრი, მე-19 საუკუნეში ჩაისახა, როცა დაიწყო რეალური ქალაქისა და მისი ცხოვრების სტილის ავთენტური ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში. ამ დროიდან მოყოლებული ქალაქი მხატვრულ აზროვნებაზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო როგორც ფიზიკური ადგილი, არამედ ასევე როგორც უნიკალური ცხოვრების წესი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქალაქი ადამიანური დრამის მთავარ მოქმედ პირად იქცევა. იგი მონაწილეობს ნაწარმოების მოქმედებაში, როგორც: ფიზიკური ადგილი, რომელიც თავისებურ ზეგავლენას ახდენს პერსონაჟთა ცნობიერებასა და მგრძნობელობაზე; ატმოსფერო, რომელიც ემოციებზე ზემოქმედებს; ტოტალური ცხოვრების წესი - ღირებულებათა და ზნე-ჩვეულებათა გარკვეული სისტემა თუ კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს პერსონაჟის საქციელსა და ცხოვრების გზას. დასავლური კულტურის „ახალი“ გამოცდილება და „თანამედროვე“ დასავლელი ადამიანის ცნობიერება მნიშვნელოვანწილად სწორედ ურბანიზაციის, ინდუსტრიალიზაციისა და მოდერნიზაციის ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბდა. როგორც სტივენ მარკუსი აღნიშნავს, ქალაქის ახლებური წაკითხვა, მისი პერცეფცია და კონსტრუირება როგორც მნიშვნელობის მატარებელი სტრუქტურისა, შეგვიძლია პარადიგმულ მოვლენად ჩავთვალოთ მთელი მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის I ნახევრისათვის (Marcus 1987: 232). ქალაქის ამგვარი მხატვრულ-ესთეტიკური გააზრების ვარიაციებია ონორე დე ბალზაკის პარიზი, ჩარლზ დიკენსის ლონდონი, თეოდორე დოსტოევსკის პეტერბურგი, ჯეიმზ ჯოისის დუბლინი, ალფრედ დობლინის ბერლინი, ტომას სტერნზ ელიოტის ლონდონი თუ ჯონ დოს პასოსის ნიუ იორკი (ცხვედიანი 2016: 329).

როგორც აღინიშნა, ყველა რომანი, სადაც მოქმედება ქალაქში ხდება, არ არის ქალაქური, როგორც ასეთი - იგი „ქალაქურის“ სტატუსს იძენს მაშინ, როდესაც ქალაქი მხოლოდ რეალური გეოგრაფიული სივრცის ფუნქციით კი არ შემოიფარგლება, არამედ ამავდროულად სიმბოლურ სისტემად და მრავალი დროითი პლასტისგან მოქსოვილ მხატვრულ ქსოვილად იქცევა. ერთი სიტყვით, ქალაქურ რომანად ის ჟანრი მოიაზრება, სადაც ქალაქის ფიქციონალიზაცია მაქსიმალურ ინტენსივობას აღწევს. რეალისტურ და ნატურალისტურ ქალაქურ რომანში (ბალზაკის, ფლობერის, დიკენსის, ზოლას, დრაიზერის ნაწარმოებები) ქალაქი მოქმედების პასიური ფონი კი არ არის, არამედ მრავლისმომცველი კონტექსტია, რომელიც, გარკვეულწილად, თვითონ განსაზღვრავს ამ მოქმედების ტრაექტორიასაც და პერსონაჟთა ხასიათსაც. ამ თვალსაზრისით მოდერნისტული რომანი კიდევ უფრო შორს მიდის: ჯეიმზ ჯოისის, ვირჯინია ვულფის, დოს პასოსის პროზაში ქალაქი ავტონომიურ ონტოლოგიად გარდაიქმნება და თავად ხდება პროტაგონისტი.

რეალისტური/ნატურალისტური და მოდერნისტული ქალაქური რომანის შედარებითი ანალიზისას იკვეთება მათი როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი ნიშნები. ქალაქისადმი ნატურალისტური და მოდერნისტული მიდგომა, ცხადია, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ არა რადიკალურად, როგორც ამას რიჩარდ ლეანი ამტკიცებს (Lehan 1998: 70, 77-79) - ესაა ორი ერთმანეთთან არა ტოტალურად, არამედ ნაწილობრივ დაპირისპირებული მიდგომა. მოდერნისტები ქალაქის წარმოსახვითი ხატის შექმნისას, ერთი მხრივ, სწორედ ნატურალიზმის ტრადიციას აგრძელებენ, მათი მხატვრული მეთოდი კი, გარკვეულწილად, ნატურალისტურს (განსაკუთრებით ზოლასა და ფლობერისას) ენათესავება - ჯოისი თუ დოს პასოსი ნატურალისტებივით აკვირდებოდნენ თავიანთ ქალაქებს და ნატურალისტური დეტალიზაციითა და სკრუპულოზურობით აღწერდნენ ურბანულ პეიზაჟებს თუ ქალაქის ყოველდღიურ ყოფას; მეორე მხრივ, ქალაქის მოდერნისტულ კონცეფციებში აირეკლა ნატურალიზმთან კონცეპტუალური დაპირისპირება, რაც იმპერსონალურისა და ობიექტურის სფეროდან პერსონალურისა და სუბიექტურისაკენ „მოძრაობაში“ გამოიხატა. ეს ტენდენცია უპირისპირდება განმანათლებლობისა და დარვინიზმის ძირითად დებულებებს. გარდა ამისა, ნატურალისტურ სახეთა ფენას თუ სტილურ ხაზს მოდერნისტულ ტექსტში ახალი - მითოსურ-უნივერსალური - პლასტი ემატება: მოდერნისტები, რომლებიც ვერ ახერხებენ ერთმანეთთან მოარიგონ ციკლური ისტორიის თეორიები და ლინეარული ევოლუციისა თუ მექანიკური პროგრესის კონცეფცია, უპირისპირდებიან მექანიკურ რეალობას, უარყოფენ ხელოვნებასა და წარმოსახვაზე მეცნიერებისა და რაციონალიზმის უპირატესობის იდეას და აქცენტს აკეთებენ ქალაქის მითოსურ-სიმბოლურ განზომილებაზე (Tskhvediani 2012: 140). ამრიგად, ნატურალისტურ და მოდერნისტულ მხატვრულ მეთოდებს შორის რამდენიმე ფუნდამენტური განმასხვავებელი ნიშანი შეიძლება გამოიყოს: ნატურალისტური „სციენტიზმიდან“ (მეცნიერული ობიექტურობიდან, მეცნიერული მიდგომიდან) აქცენტის გადატანა მითოსურ/სიმბოლურ საფუძვლებზე, რაც არ ნიშნავს პირველის სრულ გაუქმებას; ლინეარული-/ისტორიული და ციკლური/მითოსური, ობიექტური/ასტრონომიული და სუბიექტური (ე. წ. ცნობიერების დრო, ბერგსონისეული ‘la durée’ - ინგლ. ‘duration’, „ხანიერება“) დროის, მეცნიერული ემპირიზმისა და ბერგსონისეული სუბიექტური/ცნობიერების რეალობის, რეალურის/ნატურალისტურისა და წარმოსახვითის, კონკრეტულ-ისტორიულისა და მითოსურ-უნივერსალურის თანაარსებობა და შერწყმა მოდერნისტულ რომანში, რაც ამ უკანასკნელის პროტეევსულ ბუნებას განსაზღვრავს. მისთვის ნიშანდობლივია პოლიმორფიზმი და პოლიქრონოტოპული სტრუქტურა. მოდერნისტულ დისკურსში ქალაქი გააზრებულია როგორც ლოკალურ-კონკრეტული, ასევე უნივერსალური პერსპექტივიდან, როგორც ერთგვარი ისტორიულ-კულტურული პალიმფსესტი, სადაც ერთი ენა გადაწერილია მეორეზე. ეს არ არის უბრალოდ ერთი კონკრეტულ-ისტორიულ ქალაქი, არამედ ყველა დროის ყველა ქალაქის განსხეულებაა, მარადიული, მითოსური ქალაქი, ისტორიულიცა და ტრანსისტორიულიც ერთდროულად (ცხვედიანი 2016: 333-334).

რობერტ ოლტერი მე-19-მე-20 საუკუნეების რომანში (გუსტავ ფლობერი, ონორე დე ბალზაკი, ჩარლზ დიკენსი, ვირჯინია ვულფი და სხვ.) ქალაქის წარმოსახვითი ხატის შედარებითი შესწავლის საფუძველზე დაასკვნის, რომ ურბანული სივრცის მხატვრულ რეპრეზენტაციებსა და რეალურ სივრცეებს შორის წინააღმდეგობები იკვეთება. ოლტერის თანახმად, ურბანულ სივრცეში მომხდარი ტრანსფორმაციები ცვლის სივრცისა და დროის აღქმას. დიკენსისეული აპოკალიფსური ურბანული ხატებისგან მკვეთრად განსხვავდება ურბანული სივრცის მხატვრული მოდელირების მეთოდი ვირჯინია ვულფი რომანში *მისის დოლოუეი* (*Mrs. Dalloway*, 1925). აქ რომანის პოლიქრონოტოპულ სტრუქტურას ურბანულ ქრონოტოპულ კონფიგურაციათა ერთობლიობა განსაზღვრავს. ვულფისეული ურბანული პერსპექტივა გამოწვევებისა და შესაძლებლობების, კომპლექსური სენსორული გამოცდილებების, პასტორალური სილამაზისა და ტრანსცენდენტური დაკვირვებების

თანაარსებობის სივრცედ გვევლინება (Alter 2005: 103-120). აქ ქალაქი აღარ არის მხოლოდ სიუჟეტურ მოვლენათა ფონი, არამედ მთავარი მოქმედი პირია, რომელიც განსაზღვრავს პერსონაჟების ცნობიერებასა და ქმედებებს. ლიტერატურული ქალაქი შეიძლება იყოს რეალური ქალაქის მხატვრული რეინტერპრეტაცია (ვირჯინია ვულფის ლონდონი); სრულიად გამოგონილი ურბანული სივრცე (ფლობერი); რეალური და წარმოსახვითი ელემენტების სინთეზი (ბალზაკი და დიკენსი). ლიტერატურული ქალაქი ავტორის შემოქმედებითი კონცეფციის მხატვრული განსხეულებაა, სადაც რეალური ურბანული სივრცე მხატვრულ სახედ და ნაწარმოების მნიშვნელოვან სტრუქტურულ ჩარჩოდ გვევლინება.

ქალაქურ რომანში, მაშინაც კი, როცა ქალაქის მხატვრული პერცეფცია შემოიფარგლება შეზღუდული პერსპექტივით (პერსონაჟის თვალი), ფრაგმენტული რუკით, ხაზოვანი დროით (ბიოგრაფია), ფსიქოლოგიური საზღვრებით (გაუცხოება) და მინიმალური სიმბოლიზმით (ფსიქოლოგიური რეალიზმი), ქალაქი მაინც რჩება პერსონაჟის გამოცდილების ქმედით ჩარჩოდ.

მაგალითად, ჯეიმზ ჯოისის რომანში *ულისე* დუბლინი, ერთი მხრივ, აქტიური აგენტი და სტრუქტურირებული კოსმოსია, ხოლო მეორე მხრივ, ფენომენოლოგიურ განზომილებას იძენს. რომანის 18 ეპიზოდი განასახიერებს ქალაქის „ანატომიას“, სადაც სხვადასხვა პერსპექტივა (ლეოპოლდ ბლუმი, სტივენ დედალოსი, მოლი ბლუმი და ურბანული ქორო) ერთიანდება ყოვლისმომცველ, კარტოგრაფიულ ხედვაში, რომელიც კოსმოლოგიურად მოწესრიგებულ მთლიანობას, ან, უფრო ზუსტად, „მრავლობითობას ერთიანობაში“ (“multiplicity in unity”)/„ფრაგმენტირებულ ტოტალობას“ (“fragmented totality”) გვთავაზობს. ჯოისი იყენებს ტოტალურ კარტოგრაფიას: ყველა უბანი წარმოდგენილია ნატურალისტური სიზუსტით აღწერილი მარშრუტებით (ბლუმის „მოგზაურობა“ ეკლზ სტრიტის 7-დან მაღაზიებში, სასაფლაოზე, სანაპიროზე და ა.შ.; სტივენის მარშრუტი მარტელოს კოშკიდან სკოლამდე, ბიბლიოთეკასა, პაბებსა თუ საროსკიპომდე), მაგრამ ამავდროულად რომანი ინარჩუნებს შინაგანი მონოლოგების, სუბიექტური აღქმის და ფსიქოლოგიური ფრაგმენტაციის მკვეთრად გამოკვეთილ ფენომენოლოგიურ განზომილებას. დუბლინი არის სივრცე, სადაც რეალურისა და ფიქციურის ურთიერთქმედება ახალ სივრცულ ონტოლოგიას წარმოქმნის: იქმნება ჰიბრიდული დუბლინი, რომელიც გავლენას ახდენს თავად რეალურ ქალაქზე ლიტერატურული ტურიზმის მეშვეობით.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქური რომანის ჟანრს ორი უმთავრესი მინიმალური კრიტერიუმი განსაზღვრავს: ურბანული სივრცე, როგორც თხრობის სტრუქტურის მაორგანიზებელი ელემენტი და ახალი სივრცული რეალობის შექმნა, როდესაც ქალაქი მხოლოდ თხრობის/მოქმედების სივრცედ კი არ რჩება, არამედ ავტონომიურ ონტოლოგიურ რეალობად იქცევა. როგორც წესი, ქალაქურ რომანში ეს სივრცე ერთდროულად გეოგრაფიული ადგილიცაა, ფილოსოფიური კონცეფციაც, ფსიქოლოგიური პროექციაც და კულტურული სიმბოლოც. მოდერნისტულ ქალაქულ რომანს დამატებით ახასიათებს დროითი პლასტების რთული კომბინაცია, რომელიც აერთიანებს მითოლოგიურ, ისტორიულ და სუბიექტურ დროს ერთიან ნარატიულ არქიტექტონიკაში. ქალაქური რომანის განუყოფელი ნაწილია ესთეტიკურ-ფილოსოფიური რეფლექსია ურბანული გამოცდილების ბუნებაზე, როდესაც ტექსტი თავად სვამს კითხვას: რა არის ქალაქი და როგორ ვცხოვრობთ მასში?

ქალაქური რომანის ტრადიციული თემატიკა, მაგალითად, პროვინციიდან ჩამოსული ახალგაზრდის თავგადასავალი მეგაპოლისში, პოსტმოდერნის ეპოქაშიც ინარჩუნებს მიმზიდველობას. ამასთან, უახლესი კვლევები (Ameel 2017:233-241; Brosseau 2017: 9-27 სხვ.) აჩვენებს, რომ პერიფერიული და საშუალო სიდიდის ქალაქები თანდათანობით იქცევიან ლიტერატურული ინტერესის ობიექტად. სხვადასხვა ჟანრულ

ჭრილში - დეტექტივიდან კლიმატის კრიზისის თემატიკასა და მოზარდთა ლიტერატურამდე - ქალაქები განაგრძობენ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულებას ისე, რომ ურბანული კონტექსტი უშუალო ზეგავლენას ახდენს სიუჟეტის განვითარებაზე. თანამედროვე მიგრაციამ და იძულებითმა გადაადგილებამ/დევნილობამ კიდევ უფრო გაზარდა ქალაქური რომანის ჟანრის მნიშვნელობა და გააღრმავა მისი კომპლექსური მიდგომა დისტანციების გაზომვის, რეგულირებისა და კრიტიკული გააზრების პრობლემატიკისადმი.

ქალაქის ფიზიკური ასპექტები და ურბანული გამოცდილების სენსორული მხარე აისახება ლიტერატურის ფორმალურ ელემენტებში. ქალაქური რომანის მკვლევარისთვის მნიშვნელოვანია როგორც ინტერტექსტუალური კავშირები და ჟანრული კონვენციები, ასევე ტექსტისა და მისი შექმნის დროინდელი რეალური ქალაქის ურთიერთქმედების ხასიათი. ქალაქური რომანის, როგორც ჟანრის, დეფინიციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიტერატურული ქალაქის/ურბანული სივრცის მხატვრული მოდელის ონტოლოგიური სტატუსის გააზრება. ლიტერატურული ქალაქი უბრალოდ კი არ ასახავს რეალურ ქალაქს, არამედ წარმოქმნის ახალ სივრცულ რეალობას, რომელსაც საკუთარი ონტოლოგიური სტატუსი აქვს და რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს და წარმოქმნის ურბანულ სივრცეებს მკითხველი. ეს ხედვა სცდება ტრადიციულ მიმეტურ მიდგომას და აღიარებს ლიტერატურას, როგორც სივრცის მწარმოებელ აქტიურ შემოქმედებით ძალას.

დასკვნა. ამრიგად, ქალაქური რომანი, როგორც ლიტერატურული ჟანრი, რამდენიმე ძირითად კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, ლიტერატურული ქალაქი უნდა: გასცდეს სიუჟეტური ფონის ფუნქციას და აქტიურად მონაწილეობდეს სიუჟეტის განვითარებაში, პერსონაჟების ბედისა და მოვლენათა ლოგიკის ჩამოყალიბებაში; მოგვევლინოს ნიშანთა სისტემად, რომელიც კულტურულ მნიშვნელობებს/კოდებს წარმოქმნის და სოციალურ, იდეოლოგიურ, ფსიქოლოგიურ დინამიკას განსაზღვრავს; იყოს ტოპოგრაფიული ორგანიზატორი - ნარატივი უნდა მოძრაობდეს არა მხოლოდ ქრონოლოგიურად, არამედ ურბანული მარშრუტებით, უბნებით, ტოპოგრაფიული წერტილებით, რაც ქალაქს თხრობის ორგანიზების საფუძვლად აქცევს; განსაზღვრავდეს რომანის კომპოზიციას, თხრობის სტრუქტურას და, რაც მთავარია, თვითონ იქცეოდეს პროტაგონისტად; ქმნიდეს ახალ სივრცულ რეალობას, სადაც ურბანული სივრცე ავტონომიურ ონტოლოგიურ რეალობად გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა

ცხვედიანი, ი. (2015). ქალაქის საგა: „საგანთა ცენტრი" თუ ფანტასმაგორიული ლაბირინთი? (ჯონ დოს პასოსი და მისი რომანი მანჰეტენ ტრანსფერი). *არილი*, 4 (234). 40-48.

ცხვედიანი, ი. (2016). რეალური ქალაქი, მითოსური ქალაქი: მითოპოეტიკური ქრონოტოპი ჯონ დოს პასოსის რომანში მანჰეტენ ტრანსფერი. *ამერიკისმცოდნეობის მე-8 საერთაშორისო კონფერენციის მასალები.* ცხვედიანი, ი. (რედ.).329-378. ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.

ცხვედიანი, ი. (2020). მითოპოეტიკური ქრონოტოპი ჯონ დოს პასოსის რომანში მანჰეტენ ტრანსფერი. *სჯანი.* ტ. 21. 81-105.

წერედიანი, ა. (2022). ქალაქური ტექსტი ქართულ მოდერნისტულ რომანში. *სჯანი.* ტ. 23. 7-37.

Ameel, L. (2017). The City Novel: Measuring Referential, Spatial, Linguistic, and Temporal Distances. In: Tally Jr., R.T. (ed.). *The Routledge Handbook of Literature and Space*. London & New York: Routledge. 233-241.

Alter, R. (2005). *Imagined Cities: Urban Experience and the Language of the Novel*. New Haven: Yale University Press.

Brosseau, M. (2017). In, Of, Out, With, and Through: New Perspectives in Literary Geography. In: Tally Jr., R.T. (ed.). *The Routledge Handbook of Literature and Space*. London & New York: Routledge. 9-27.

Gelfant, B. H. (1954). *The American City Novel*. Norman: U of Oklahoma P.

Gelfant, B. H. (1974). John Dos Passos: The Synoptic Novel. In: Hook, A. (ed.). *Dos Passos: A Collection of Critical Essays*. Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, Inc.: 36-52.

Harding, D. (2003). *Writing the City: Urban Visions and Literary Modernism*. New York & London: Routledge.

Lehan, R. (1998). *The City in Literature: An Intellectual and Cultural History*. Berkeley: University of California Press.

Marcus, S. (1987). Reading the Illegible: Some Modernist Representations of Urban Experience. In: Sharpe, W. & Wallock, L. (eds.). *Visions of the Modern City: Essays in History, Art, and Literature*. Baltimore & London: The Johns Hopkins University Press: 232-256.

Mcnamara, K.R. (ed.). (2014). *The Cambridge Companion to the City in Literature*. Cambridge: Cambridge University Press.

Tally Jr., R.T. (ed.). (2017). *The Routledge Handbook of Literature and Space*. London & New York: Routledge.

Tskhvediani, I. (2012). Modernist City: James Joyce's Dublin and John Dos Passos's New York. In: Gelashvili, M. & Tskhvediani, I. (eds.). *James Joyce 130: Selected Papers of the International Conference*. 138-147. Tbilisi: Universal.

REFERENCES

tskhvediani, i. (2015). kalakis saga: „saganta tsent'ri" tu pant'asmagoriuli labirinti? (jon dos p'asosi da misi romani manhet'en t'ransperi) [The city saga: "Center of things" or phantasmagorical labyrinth?]. *arili [Arili]*. 4 (234). 40-48.

tskhvediani, i. (2016). realuri kalaki, mitosuri kalaki: mitop'oet'ik'uri kronot'op'i jon dos p'asosis romanshi manhet'en t'ransperi [Real city, mythical city: Mythopoetic chronotope in John Dos Passos's Manhattan Transfer]. *amerik'ismtsodneobis me-8 saertashoriso k'onperentsiis masalebi [Proceedings of the 8th International Conference on American Studies]*. tskhvediani, i. (Ed.). 329-378. Kutaisi: ATSU Publishing.

tskhvediani, i. (2020). mitop'oet'ik'uri kronot'op'i jon dos p'asosis romanshi manhet'en t'ransperi [Mythopoetic chronotope in John Dos Passos's Manhattan Transfer]. *sjani [Sjani]*. Vol. 21. 81-105.

ts'erediani, a. (2022). kalakuri t'ekst'i kartul modernist'ul romanshi [Urban text in the Georgian modernist novel]. *sjani [Sjani]*. Vol. 23. 7-37.

Ameel, L. (2017). The City Novel: Measuring Referential, Spatial, Linguistic, and Temporal Distances. In: Tally Jr., R.T. (ed.). *The Routledge Handbook of Literature and Space*. London & New York: Routledge. 233-241.

Alter, R. (2005). *Imagined Cities: Urban Experience and the Language of the Novel*. New Haven: Yale University Press.

Brosseau, M. (2017). In, Of, Out, With, and Through: New Perspectives in Literary Geography. In: Tally Jr., R.T. (ed.). *The Routledge Handbook of Literature and Space*. London & New York: Routledge. 9-27.

Gelfant, B. H. (1954). *The American City Novel*. Norman: U of Oklahoma P.

Gelfant, B. H. (1974). John Dos Passos: The Synoptic Novel. In: Hook, A. (ed.). *Dos Passos: A Collection of Critical Essays*. Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, Inc.: 36-52.

Harding, D. (2003). *Writing the City: Urban Visions and Literary Modernism*. New York & London: Routledge.

Lehan, R. (1998). *The City in Literature: An Intellectual and Cultural History*. Berkeley: University of California Press.

Marcus, S. (1987). Reading the Illegible: Some Modernist Representations of Urban Experience. In: Sharpe, W. & Wallock, L. (eds.). *Visions of the Modern City: Essays in History, Art, and Literature*. Baltimore & London: The Johns Hopkins University Press: 232-256.

Mcnamara, K.R. (ed.). (2014). *The Cambridge Companion to the City in Literature*. Cambridge: Cambridge University Press.

Tally Jr., R.T. (ed.). (2017). *The Routledge Handbook of Literature and Space*. London & New York: Routledge.

Tskhvediani, I. (2012). Modernist City: James Joyce's Dublin and John Dos Passos's New York. In: Gelashvili, M. & Tskhvediani, I. (eds.). *James Joyce 130: Selected Papers of the International Conference*. 138-147. Tbilisi: Universal.